პროლეტარიანებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

СССР — Союз Советских Социалистических Республик

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 107 (20448) — კვირა, 7 მაისი, 1989 წელი. — ფასი 8 კაპ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს 30-40-ანი წლებისა და 50-ანი წლების დამდეგის პერიოდში მომხდარ რეპრესიებთან დაკავშირებული მასალების დამატებითი შესწავლის შედეგები

კომისიის დასკვნა

კომისიის მორიგ სხდომაზე შეაჯამეს უსაფუძვლოდ რეპრესირებულ პირთა სასამართლო და პარტიული წესით რეაბილიტაციისთვის გაწეული მუშაობის პირველი შედეგები.

ამ მუშაობის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი შედეგი, როგორც აღინიშნა, გახდა იმ სასამართლო პროცესებისა და არასასამართლო ორგანოების მასალების ყოველმხრივი შესწავლა, რომლებიც ეხებოდა „ანტისაბჭოთა მემარჯვენეტროცკისტული ბლოკის“, „ლენინგრადის საქმის“, „ანტისაბჭოთა ტროცკისტული სამხედრო ორგანიზაციის“, „პარალელური ანტისაბჭოთა ტროცკისტული ცენტრის“, „ტროცკისტ-ზინოვიეველთა ანტისაბჭოური გაერთიანებული ცენტრის“, „მოსკოვის ცენტრის“, „მარქსისტ-ლენინელთა კავშირის“, „მოსკოვის კონტრრევოლუციური ორგანიზაციის — „მუშათა ოპოზიციის“ ჯგუფის“ და „ებრაელთა ანტიფაშისტური კომიტეტის“ ეგრეთ წოდებულ საქმეებს. ამ პროცესებთან დაკავშირებით გადიოდა ბევრი თვალსაჩინო პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და სამხედრო მუშაკი.

— ყველა ეს პროცესი, როგორც დადგინდა, გაყალბებული იყო და ეწყობოდა სოციალისტური კანონიერების ყოვლად უხეში დარღვევებით. პირნი, რომლებიც სისხლის სამართლის პასუხისგებაში იყვნენ მიეცემული ანტისახელმწიფო და ანტიპარტიული საქმიანობის მოგონილი ბრალდებებით, მთლიანად არიან რეაბილიტირებულნი სასამართლო წესით. ამ ამბანაგთაგან ბევრი სკკპ რიგებში აღადგინეს. დანარჩენების პარტიულობის საკითხებს განიხილავენ.

მთავრდება მზადება პოლიტბიუროს კომისიაში იმ მასალების განსახილველად, რომლებიც ეხება პროცესებს „ლენინგრადის კონტრრევოლუციური ზინოვიეველთა ჯგუფის“, „ლენინგრადის ცენტრის“, „საკავშირო ტროცკისტული ცენტრის“, „ბუხარინის სკოლისა“ და „რიკოვის სკოლის“ ეგრეთ წოდებული საქმეების გამო.

მოისმინა რა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის ბ. კ. პუგოს, სსრ კავშირის გენერალური პროკურორის ა. ი. სუხარევის, სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრის ბ. ვ. კრავცოვის, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ს. ი. გუსევის, სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ვ. პ. პიროჟკოვის ინფორმაცია, კომისიამ აღნიშნა, რომ სასამართლო და პარტიული წესით რეაბილიტაციის პროცესი როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე სულ უფრო მეტად იძენს გეგმაზომიერ ხასიათს, მას მოწონებითა და მზარდი მხარდაჭერით ეკიდება საზოგადოებრიობა.

სამართალდამცავი ორგანოები განიხილავენ დიდძალ რეპრესირებულთა საქმეებს. მათი უმრავლესობის მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებანი გადაისინჯა, ბევრ საბჭოთა ადამიანს აღუდგინეს სახელი და ღირსება.

რეაბილიტაციის მთხოვნელთა შორის იყვნენ ისეთი პირებიც, ვინც წინათ მძიმე დანაშაულობანი ჩაიდინა. მათ შორის — საშშობლოს გამეცემები, ნაცისტი დამნაშავეები, ნაციონალისტური ბანდების ფორმირებათა მონაწილეები და მათი დამქაშები, სისხლის სამართლის საქმეთა ფალსიფიკატორები. ასეთ პირთა თხოვნა დაუკმაყოფილებლად დატოვეს.

კომისიამ პარტიული, საბჭოთა და სამართალდამცავი ორგანოებს მონაწილეობთ განიხილა მის სახელზე შემოსული 9 ათასამდე წერილი და განცხადება. ამ მიმართებაში არის ბევრი თხოვნა, რომლებიც ეხება რეაბილიტაციას სასამართლო წესით და პარტიის ხაზით, უფრო სრული ცნობების გაცემას უდანაშაულო ადამიანთა დაღუპვის გარემოებების შესახებ, საარქივო დოკუმენტების ძებნაში, დაკრძალვის ადგილების. დადგენაში, ჯილდოების დაბრუნებაში დახმარების შესახებ. შუამდგომლობათა მნიშვნელოვანი ნაწილი დაკავშირებულია ზარალის ანაზღაურებასთან, რეაბილიტირებულთა დაბრუნებასთან იმ ადგილებში, საიდანაც ისინი უკანონოდ გაასახლეს, მათი სახლნაო პირების, საპენსიო უზრუნველყოფის, სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებასთან.

როგორც ფოსტის ანალიზი მოწმობს, მოქალაქეებმა ყოველთვის როდი იციან რეპრესიების რეაბილიტირებულ მსხვერპლთათვის მთავრობის მიერ დაწესებული შეღავათები, რომლებიც ადგილობრივმა ორგანოებმა უნდა მიანიჭონ, ამასთან ხშირად აწყდებიან უსულგულობას, ბიუროკრატიზმის გამოვლინებებს, რაც მათ აიძულებს მიმართონ ზემდგომ ინსტანციებს. პოლიტბიუროს კომისია თვლის, რომ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებთან, სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო და საქალაქო საბჭოებთან რეაბილიტირებულთა უფლებებისა და ინტერესების უზრუნველყოფის მიზნით საბჭოთა ორგანოების ხელშემწყობი კომისიების ჩამოყალიბება დიდად დაეხმარება აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას.

გაწეული მუშაობის შედეგების შეჯამებისას აღინიშნა, რომ კიდევ უფრო უნდა გააქტიურდეს და გაუმჯობესდეს სამართლდაცვითი, საბჭოთა და პარტიული ორგანოების საქმიანობა, რომლის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, „30-40-იანი წლების და 50-იანი წლების დამდეგის პერიოდში რეპრესიების მსხვერპლთა მიმართ სამართლიანობის აღდგენის დამატებითი ღონისძიებების შესახებ „სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 16 იანვრის ბრძანებულების თანმიმდევრული შესრულება. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ამ დიდმნიშვნელოვან მუშაობაში საჭიროა თითოეული კონკრეტული საქმის განსაკუთრებით ყურადღებიანი, გულმოდგინე შესწავლა.

ლაპარაკი იყო აგრეთვე სახალხო დეპუტატთა საოლქო და სამხარეო საბჭოებში, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებში, შექმნილი კომისიების როლის გაძლიერებაზე, საბჭოთა ორგანოებისათვის დახმარების გაწევის მიზნით რეაბილიტირებულთა უფლებებისა და ინტერესების უზრუნველყოფ ა შ ი, რეპრესიების მსხვერპლთა ძეგლების შექმნაში, მათი დამარხვის ადგილების სათანადო მოწესრიგებაში საზოგადოებრიობის უფრო ფართო ჩაბმაზე.

კომისიამ მოისმინა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის ინფორმაცია იმ პირთა პარტიულობის საკითხის განხილვის შედეგების შესახებ, რომლებიც გადიოდნენ ეგრეთ წოდებული „მოსკოვის კონტრრევოლუციური ორგანიზაციის — „მუშათა ოპოზიციის“ ჯგუფის“ საქმეში და, როგორც უკვე პრესა იუწყებოდა, მთლიანად რეაბილიტირებული არიან.

20-იანი წლების დამდეგს არსებული ეგრეთ წოდებული „მუშათა ოპოზიციის“ ჯგუფის იდეური პლატფორმა მთელ რიგ საკითხებში მცდარი, თეორიულად და პრაქტიკულად უსაფუძვლო იყო. რკპ (ბ) X ყრილობამ დაგმო „მუშათა ოპოზიციის“ შეხედულებანი და უწოდა მათ სინდიკალისტური და ანარქისტული გადახრა, რომელიც შემდგომში დაძლეულ იქნა პარტიული დისკუსიების ფარგლებში.

ვ. ი. ლენინის წინადადებით „მუშათა ოპოზიციის“ მონაწილენი ჩაიბეს აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობაში. ა. გ. შლიაპნიკოვი რკპ (ბ) X ყრილობაზე აირჩიეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში. იგი სათავეში ჩაუდგა მუშათა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების კომისიას, შედეგად პარტიის წმენდის ცენტრალური კომისიის შემადგენლობაში.

ცნობილია აგრეთვე, რომ ა. გ. შლიაპნიკოვი, ს. პ. მედვედევი და „მუშათა ოპოზიციის“ სხვა მონაწილეთა უმრავლესობა შემდგომში უარყოფენ თავიანთ მცდარ შეხედულებებს. როგორც დადგენილია, ისინი არ უწევიდნენ არც ანტიპარტიულ, ანტისაბჭოთა საქმიანობას, რაც ბრალად ედებოდათ 30-იან წლებში. არ არსებობდა არც თვით ეგრეთ წოდებული „მოსკოვის კონტრრევოლუციური ორგანიზაცია — „მუშათა ოპოზიციის“ ჯგუფი.

გაითვალისწინა რა ეს, აგრეთვე სასამართლო წესით ა. გ. შლიაპნიკოვის, ს. პ. მედვედევის, ი. ი. ნიკოლაევსკის, ა. ა. ტიხომიროვის, ვ. ე. ტარასოვის, ვ. პ. დემიდოვისა და მ. ა. ვიჩინსკის სრული რეაბილიტაცია, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა პარტიული კონტროლის კომიტეტმა აღადგინა ისინი სკკპ რიგებში (სიკვდილის შემდეგ). ვერ გამოინახა საფუძვლები პარტიაში მ. ნ. ივანოვის აღდგენისათვის, რადგან იგი პარტიიდან გარიცხული იყო 1932 წელს გადაცდომისათვის, რომელიც არ უკავშირდებდა მოგვიანებით მის წინააღმდეგ წაყენებულ დაუსაბუთებელ პოლიტიკურ ბრალდებებს.

უფრო ადრე პარტიაში აღადგინეს ს. ი. მასლენიკოვი, გ. ი. ბრუნო, მ. თ. მიხაილოვი, ნ. ა. პროკოპენკო, მ. ი. დოგადინა, ნ. ნ. რუდიცკაია და ზ. ი. ანმედოვი, რომლებიც გადიოდნენ ზემოთ აღნიშნულ საქმეში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის ინფორმაცია ცნობად მიიღეს კომისიებმა.

პოლიტბიუროს კომისიის მუშაობა გრძელდება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში

დასასრულია გადაუდებელი ღონისძიებანი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილეს აჭარის ასს რესპუბლიკაში სტიქიის შედეგების ლიკვიდაციის გადაუდებელ ღონისძიებათა საკითხი. მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ აჭარის ასს რესპუბლიკის მთიან ზონაში თოვლის ინტენსიური დნობის შედეგად წარმოქმნილმა ზვავებმა და მეწყერებმა დიდი ზარალი მიაყენა ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას და მოსახლეობას. დაინგრა და დაზიანდა მრავალი საცხოვრებელი სახლი, საკვებ-საყოფაცხოვრებო და კულტურულ-საგანმანათლებლო დანიშნულების ობიექტი, გაფუჭდა საავტომობილო გზები, სასოფლო-სამეურნეო საკარგულები, პირუტყვის სადგომები. წინასწარი მონაცემებით სტიქიით გამოწვეულმა საერთო ზარალმა 250 მილიონ მანეთს გადააჭარბა, არის მსხვერპლი.

მთავრობის სპეციალური კომისია საჭირო ღონისძიებებს ახორციელებს მოსახლეობის სამედიცინო დახმარებისა და სურსათით მომარაგებისათვის, მეწყერსაშიში ზონიდან მისი გაჩაზნენის და სხვა რეგიონებში დასახლებისათვის, სხვა ოპერატიული საკითხების გადასაჭრელად.

რესპუბლიკაში ფართოდ გაშლილა მოძრაობა სტიქიით დაზარალებულთა დასახმარებლად. მასში ჩაებნენ საქართველოს ცალკეული რეგიონები, საწარმო-დაწესებულებანი, მთელი მოსახლეობა. გაიხსნა სტიქიით დაზარალებულთა დახმარების სპეციალური ანგარიშები. პარტიული, საბჭოთა და საგაგმო-სამეურნეო ორგანოები სათანადო პოლიტიკურ და ორგანიზატორულ მუშაობას ეწევიან ამ მოძრაობის მონაწილეთა ურთიერთშეთანხმებული და ეფექტიანი თანამოქმედებისათვის. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინაშე დასმულია სტიქიით დაზარალებული მოსახლეობის ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის, აგრეთვე დაგრეული და დაზიანებული საწარმოო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სხვა დანიშნულების ობიექტების მშენებლობისა და აღდგენისათვის კრედიტის, კაპიტალური დაბანდებისა და კაპიტალური რემონტის სახსრების გამოყოფის საკითხი.

სტიქიური უბედურების შედეგების სალიკვიდაციოდ და დაზარალებული მოსახლეობისათვის ცხოვრების ნორმალური პირობების შესაქმნელად საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაავალეს აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს უზრუნველყოს უსახლკაროდ დარჩენილი და ავარიული სახლებში მცხოვრები მოსახლეობის უსაფრთხო ადგილებში დროებითი დაბინავება და მათთვის საჭირო საყოფაცხოვრებო პირობების შექმნა. განსაკუთრებული მზრუნველობა აღმოუჩინონ დაღუპულთა ოჯახების წევრებს, გაუწიონ მათ დახმარება (მათ შორის ფულადი).

მიღებულია ცნობად, რომ საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება სტიქიით დაზარალებული მთიანი აჭარის მოსახლეობის, უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების ჯანმრთელობის კერძოს და ტურისტულ ობიექტებში შესახლების, მათი უფასო სანატორიულ-საკურორტო მომსახურებისა და კვების, პიონერთა ბანაკებში დაზარალებული ოჯახების ბავშვთა უფასო საგზურებით უზრუნველყოფის, დაზარალებულთა და დაღუპულთა ოჯახების წევრებისათვის ერთდროული მატერიალური დახმარებისა და აღნიშნული საკითხების გადაწყვეტასთან დაკავშირებულ სხვა ღონისძიებათა შესახებ.

საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებს, გაერთიანებებსა და ორგანიზაციებს, საოლქო, საქალაქო და რაიონულ, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს დაევალათ განსაზღვრონ თავიანთი წვლილი აჭარის მაღალმთიანი ზონის მოსახლეობაზე თავდადებული სტიქიური უბედურების შედეგების ლიკვიდაციის სამუშაოებში და კონკრეტული დახმარება გაუწიონ მათ სახალხო მეურნეობის ობიექტების აღდგენაში, სახნავ-საყოფაცხოვრებო პირობების მოგვარებაში, შრომითი მოწყობისა და სხვა პრობლემების გადაწყვეტაში. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ამ საქმეში ახალგაზრდობის შრომითი მონაწილეობის გაფართოებას სტუდენტთა სამშენებლო რაზმებისა და სხვა ახალგაზრდული ფორმირებების ორგანიზაციის გზით.

იმის გათვალისწინებით, რომ სტიქიის შედეგად საცხოვრებლად უვარგისი და საშიში გახდა აჭარის მთიანი ზონის რიგი დასახლებული პუნქტები, დაბკიდეგა ამ ზონის მოსახლეობის რესპუბლიკის 25 რაიონში ჩასახლების დავალება.

მოწონებულია რესპუბლიკის მთელი რიგი რაიონების პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელების ინიციატივა ჩასახლებული კონტინგენტისათვის დროებითი საცხოვრებელი ადგილების გამოყოფის შესახებ ამ მიზნით, რომ ჩასახლებულმა მოსახლეობამ შეძლოს მისთვის მუდმივ სარგებლობაში გადაცემული მიწის ნაკვეთების დამუშავება და ბინათმშენებლობაში მონაწილეობა; თბილისის ლენინის სახელმოდაწესებულებათა შრომითი კოლექტივების თანამონაწილეობა ოერი წყაროს რაიონის გაუმჭმეული სოფელ სამღერეთის აღდგენა-განაშენებისა და აქ მთიანი აჭარის სოფლებიდან მოსახლეობის ჩამოსახლების შესახებ.

რეკომენდაცია მიეცათ რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს მზარი დაუჭირონ ლენინის რაიონის შრომელთა ინიციატივას და ვალდებულება იკისრონ საკუთარი ძალებით მიიღონ მონაწილეობა დაზარალებულთათვის განკუთვნილი კონკრეტული ობიექტის მშენებლობაში.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა რესპუბლიკის სახმშენთან ერთად უმოკლეს ვადაში უნდა აღნუსხოს რესპუბლიკის დაბებსა და სოფლებში მშენებარე საცხოვრებელი სახლები მათი უწესრიგი დაქვემდებარების მიუხედავად, განსაზღვროს საექსპლოატაციოდ გადაცემისათვის მათი მზადყოფნის დონე. შესაბამისმა სამინისტროებმა და უწყებებმა, საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებმა და ორგანიზაციებმა კი მიიღონ მტკიცე ზომები აღნიშნული მშენებარე საცხოვრებელი სახლების სასწრაფოდ დასამთავრებლად.

საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის, არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტს, გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოთა საწარმოო გაერთიანება „საქგეოლოგიას“ ეცადათ უზრუნველყონ სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის ახალ საცხოვრებელ ადგილებზე საკარმიდამო მიწის ნაკვეთების დაუყოვნებლივი გამოყოფა დადგენილი წესით.

საქართველოს სსრ გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოთა საწარმოო გაერთიანება „საქგეოლოგიამ“ 1989 წელს საქართველოს სსრ არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის დაკვეთით ოპერატიულად უნდა შეასრულოს ჰიდროგეოლოგიური სამუშაოები აჭარის ასს რესპუბლიკიდან გადმოსახლებულთა ახალი სოფლების წყალმომარაგების დაპროექტების უზრუნველსაყოფად.

საქართველოს სსრ არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტს დაევალა რესპუბლიკის საპროექტო ორგანიზაციების მეშვეობით აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს მიერ შემუშავებული და წარმოდგენილი ჩასახლების ჩიგვითობის გათვალისწინებით დაამუშაოს და დამტკიცოს სტიქიით დაზარალებული მოსახლეობის ახალი დასახლებების გენერალური გეგმები ამ ვარაუდით, რომ პირველი და მეორე ეტაპის სამუშაოები შესრულდეს მიმდინარე წლის, ხოლო მესამე ეტაპისა — 1990 წელს: საცხოვრებელი სახლების პროექტების გაცემა დაიწყოს არაუგვიანეს 1989 წლის 10 ივნისისა.

სახალხო დეპუტატების რაიასაბჭოების შესაბამისმა აღმასკომებმა დროულად უნდა უზრუნველყონ საპროექტო ორგანიზაციები პროექტებისათვის საჭირო ყველა საწყისი მონაცემით.

მოწონებულ იქნა რესპუბლიკის მშრომელთა ინიციატივა აჭარის ასს რესპუბლიკის მაღალმთიანი რაიონების სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად სპეციალური ფონდის შექმნის შესახებ.

რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს დაევალათ ფართოდ გააშუქონ დაზარალებულთათვის დახმარების მიზნით და მოძრაობა, ხოლო საქართველოს სსრ სპეციალიზებულმა ბანკებმა სახსრების აკუმულაციის მიზნით გახსნან თავიანთ დაქვემდებარებულ დაწესებულებებში შესაბამისი ანგარიშები. აკუმულირებული თანხა გადაირიცხება სსრ კავშირის სოციალურ-საყოფაცხოვრებო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ ბანკში თვეში ორჯერ, ანალად გახსნილ № 000700989 ანგარიშზე. ამ ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა შეუძლიათ საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებს და კერძო პირებს.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს დაევალა საბინაო მშენებლობისათვის გამოყოფილ კაპიტალურ დაბანდებათა გადანაწილების ბაზით გამონახოს ლიმიტების გამოყოფის საშუალება ქედის, შუახევისა და ხულოს რაიონულ ცენტრებში მრავალბინიანი კოოპერატივი საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის მიმდინარე წლის მესამე კვარტალიდან.

რესპუბლიკის რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა ნება დართონ სტიქიით დაზარალებულ მოსახლეობას შეინყოდონ ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები, აგრეთვე გამოიყენონ საკარმიდამო მიწის ნაკვეთები დადგენილი წესით. სსრ კავშირის შემნახველი ბანკის საქართველოს რესპუბლიკური ბანკი ამ ოჯახებს გამოუყოფს შეღავათიან სესხს სახლების შესაძენად და სარემონტოდ სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომების მიერ წარმოდგენილი ნიების საფუძველზე.

ჩასახლებელი რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა უნდა უზრუნველყონ ჩასახლებული ოჯახების წევრთათვის იჯარით მიწისა და სხვა ძირითად საშუალებათა გამოყოფა, აგრეთვე სოფლად მეურნეობრიობის სხვა ფორმებში მათი ფართო ჩაბმა ნებაყოფლობითს საფუძველზე.

ციკლაურის გამგეობა 1989 წელს დამატებით გამოუყოფს აჭარკოოპკავშირს დაზარალებული მოსახლეობისათვის მისაყიდად სასურსათო საქონელსა და საშენებლო მასალას, აგრეთვე სტანდარტულ საცხოვრებელ სახლებს, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო — დამატებითს სასაქონლო რესურსებს.

დადგინდა, რომ საცხოვრებელი სახლების მშენებლობის უზრუნველყოფა სათანადო მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით ხდება საბაზრო ფონდების ხარჯზე. გაცემული მასალების ღირებულება ჩაითვლება რესპუბლიკის საქონელბრუნვის გეგმაში.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტისა და გზების სამინისტროს დაევალა საჭირო ბრიგადების შემოთვლაში განაზორციელოს საავტომობილო გზების დაპროექტება და მშენებლობა ახლად შექმნილი სოფლებისათვის, უზრუნველყოს მათ-უმ-ადგილნის საავტომობილო გზის დაზიანებული უბნებისა და აჭარის ასსრ მაღალმთიან სოფლებში მისასვლელი საავტომობილო გზების სასწრაფოდ შეკეთება, აგრეთვე მეწყერსაშიშ ადგილებზე საინჟინრო დაცვითი ღონისძიებების განხორციელება.

აჭარის ასს რესპუბლიკის მოსახლეობის სტიქიური მოვლენების შედეგებისაგან დაცვის უზრუნველსაყოფად, ტერიტორიის დასახლებისა და სასოფლო-სამეურნეო თვისების შესაძლებლობის დასადგენად „საქსახწყალპროექტმა“ (გენმოჯარე), „საქსახმწყროექტმა“, „საქგეოლოგიამ“, ამიერკავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიის რეგიონალურმა ინსტიტუტმა, საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის რესპუბლიკურმა სამმართველომ, ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკოლოგიურმა ლაბორატორიამ საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის შეკვეთით 1989-1991 წლებში უნდა დაამუშაონ აჭარის ასს რესპუბლიკის ტერიტორიის, განსაკუთრებით მაღალმთიანი რაიონების საინჟინრო დაცვისა და სასოფლო-სამეურნეო თვისებების კომპლექსური სქემა.

საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიის რესპუბლიკურ სამმართველოს დაევალა მიმდინარე წლიდან აჭარის ასს რესპუბლიკაში შექმნას ზვავებისა და ღვარცოფების წარმოშობის პროგნოზირების სპეციალიზებული ჯგუფი.

საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტმა, საქწყალმშენმა და „საქსახწყალპროექტის“ ინსტიტუტმა უნდა გაითვალისწინონ 1990-1991 წლებში მდ. აჭარისწყლისა და მისი წყალუხვი შენაკადების ნაპირსამაგრი კაპიტალური ნაგებობების დაპროექტება და მშენებლობა.

საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტს, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს დაევალათ დაზარალებული ოჯახების განსახასახლებელ რაიონების პარტიის რაიონულ კომიტეტებთან, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებთან ერთად საჭირო ზომები მიიღონ ჩასახლების პროცესის მაღალორგანიზებულად განხორციელებისათვის ნებაყოფლობითობის პრინციპების დაცვით.

მიღებულია ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინაშე დასმულია აჭარის მაღალმთიან ზონაში 1989 წლიდან ტუეკაფეის შეწყვეტის საკითხი.

* * *

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ ღრმა რწმენას, რომ საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების, საწარმოდაწესებულებათა შრომითი კოლექტივების, რესპუბლიკის ყველა მშრომელის ერთობლივი ძალისხმევითა და აჭარის ასს რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების დაუცხრომელი მეცადინეობის შედეგად უმოკლეს ვადაში დაძლეულ იქნება სტიქიის შედეგები, აღდგება ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შეუფერხებელი ფუნქციონირება და მოსახლეობის საწარმოო საქმიანობისა და ყოფა-ცხოვრების ნორმალური პირობები. (საქინფორმი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილებით ცენტრალური კომიტეტის სახელმწიფო-სამართლებრივი განყოფილების გამგედ დამტკიცებულია ამხ. ოთარ კონსტანტინეს ძე გონაძე.

ამხ. ოთარ კონსტანტინეს ძე გონაძე დაიბადა 1948 წელს, ქართველია, სკკპ წევრია 1980 წლიდან, აქვს უმაღლესი განათლება, იურისტია, 1972 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. შრომითი საქმიანობა ამხ. ო. კ. გონაძემ დაიწყო 1966 წელს ქალაქ თბილისის სპორტულ ნაგებობათა სამმართველოს მემონტაჟედ, ამავე დროს იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საღამოს განყოფილების სტუდენტი. 1967-1970 წლებში მუშაობდა თბილისის გარნიზონის სამხედრო ტრიბუნალის სასამართლო სხდომის თარჯიმნად, მდივნად. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში. დემობილიზაციის შემდეგ, 1974-1982 წლებში, მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროში — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს შტაბის ინსპექტორად, უფროსი ინსპექტორად. 1982 წლის სექტემბერში ამხ. ო. კ. გონაძეს ამტკიცებენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების ინსტრუქტორად, ხოლო 1985 წელს — ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების ინსპექტორად. 1986-1987 წლებში იგი მუშაობდა საქართველოს სსრ შინგანაგან საქმეთა სამინისტროს კადრების სამმართველოს უფროსად.

1987 წლიდან ამხ. ო. კ. გონაძე სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპარატია, იყო ჯერ ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების, აპარატის სტრუქტურის რეორგანიზაციის შემდეგ კი სახელმწიფო-სამართლებრივი განყოფილების ინსტრუქტორი.

ამხ. ო. კ. გონაძეს ჰყავს ცოლი და სამი ვაჟი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

6 მაისს გამართულ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მორიგ სხდომაზე განიხილეს ისტორიულ-არქიტექტურული კომპლექსია „დავითგარეჯის“ ძეგლთა დაცვის დგომარეობისა და ძირეული გაუმჯობესების ღონისძიებათა საკითხი.

აღინიშნა, რომ „დავითგარეჯის“ კომპლექსის დაცვასა და რესტავრაციასთან დაკავშირებული პრობლემების დადებითი გადაწყვეტის მიზნით გაწეულია დიდი მუშაობა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მხარდაჭერის შემდეგ გადაიჭრა მთელი რიგი რესპუბლიკური საკითხები. უზრუნველყოფილია მუდმივი საზოგადოებრივი კონტროლი ეროვნული ძეგლთა დაცვის მდგომარეობისადმი. გაფართოდა სარესტავრაციო სამუშაოები, შეიქმნა კომპლექსის რესტავრაციის სპეციალიზებული სამეცნიერო-საპროექტო-საწარმოო ობიექტი. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებმა გამოიკვლიეს ძეგლებისა და ეროვნების მდგრადობაზე ატმოსფერულ ზემოქმედება, ადგილზე ეწარმოებდეს გეოზიფიკის ინსტიტუტის დროებითი სეისმომეტრული სადგური. გადაწყდა სამშენებლო სამუშაოთა დაპროექტების, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, წარმოების მთელი რიგი საკითხები, პრაქტიკულად შეუფერხებლად ხორციელდება მათი დაფინანსება.

ამავე დროს „დავითგარეჯის“ ეგლთა დაცვისა და რესტავრაციის ღონისძიებანი ჯერ კიდევ ბევრად ჩამორჩება საზოგადოებრიობის სამართლიან მოთხოვნილებებსა და მოთხოვნებს, ჯერ კიდევ ყველა საკითხი როდია დროულად გადაჭრილი. აღინიშნება დაყოვნებანი. შეუწყნარებელი შემთხვევები. მთელმა რიგმა რესპუბლიკურმა სამინისტროებმა, უწყებებმა, ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა სრულად ჯერ გაანალიზეს სარესტავრაციო სამუშაოთა ხარისხი და წარმოების ეფექტურობა. შემუშავებული არ არის იერიდიული დოკუმენტი ეგლის დაცვის ზონის კეთილიეს შესახებ, განსაზღვრული არ არის მუზეუმ-ნაკრძალისა და პოლიგონის საწვრთნელ ნაწილს შორის ზუსტი საზღვრები, მათი შემდგომი თანამოქმედების წესი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მიერ ადინშნა, რომ ამ მიმართულებით გარკვეული სამუშაოები წარმოებს და ამავე დროს ხაზი გაუსვა, რომ მრავალი მნიშვნელოვანი ღონისძიება დადგენილი ვადების დარღვევით ხორციელდება. დაისახა კონკრეტული ღონისძიებანი, რათა გაძლიერდეს კონტროლი ჯარის ნაწილის დისლოკაციის შეცვლასთან დაკავშირებული სამუშაოების გრაფიკის რეალიზაციის მიმდინარეობისადმი. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დაევალა 1989 წლის ივლისში აცნობოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, თუ როგორ სრულდება ამ საკითხზე მიღებული დადგენილება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს განიხილა საკითხი მეცხოველეობის პროდუქციის ზრდისა და ამ პროდუქციით მოსახლეობის სტაბილური მომარაგებისათვის რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მუშაობა არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა შესახებ და იგი არადამაკმაყოფილებლად ცნო, რესპუბლიკის პარტიულ კომიტეტებს წინადადება მიეცათ მტკიცედ გარდაქმნან პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა საქმიანობის ამ უმნიშვნელოვანესი მიმართულებით და მთელი ძალღონე მოახმარონ სურსათით მოსახლეობის მომარაგების სტაბილური გაუმჯობესების დასახული პროგრამის რეალიზაციას. მიღებული დადგენილების შინაარსი პრესაში გამოქვეყნდება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მოიწონა საქართველო-აზერბაი

ᲨᲕᲘᲓᲘ მაისი რადიოს, კავშირგაბმულობის ყველა დარგის მუშაკთა დღეა.

ჩვენი დინამიკური და სწრაფად განვითარებადი ცხოვრება ახლა წარმოუდგენელია რადიოსა და კავშირგაბმულობის გარეშე.

ყოველი დარგის ნორმალური ფუნქციონირება კი უპირველესად დამოკიდებულია აქ მომუშავე ადამიანების გარჯაზე, მათს გულსა და გონებაზე.

ბევრ რამეს განსაზღვრავს აგრეთვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, სიახლეთა გაბედული დანერგვა, მეურნეობრიობის ახალი ფორმების გამოყენება.

ყოველივე ამასთან დაკავშირებით ჩვენი რესპუბლიკის კავშირგაბმულობის დარგის მუშაკებს აქვთ მიღწევებიც და საინტერესო სახვალიო გეგმებიც, მაგრამ თავიდათავი მაინც ის გადაუჭრელი პრობლემებია, რაც აფერხებს წინსვლას, რაც აღელვებს მოსახლეობას.

მაგალითად, ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში ჩვენ შემოგვრჩა სოფლები, სადაც ვერ წვდება რადიოს ხმა.

ტელეფონის გაუმართავი მუშაობა ხომ ქრონიკულ ავადმყოფობად იქცა, როგორც ქალაქად, ასევე სოფლად.

არის ბევრი სხვა ხარვეზი, რაც უკავშირდება დარგის წინსვლას, აქ დასაქმებული ადამიანების შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას.

ნაკლის აღმოფხვრას, საუკეთესო სურვილებისა და ოცნებების კეთილად ახდომას ვუსურვებთ კავშირგაბმულობის დარგის ყველა მუშაკს, ჩვენს თანამოქალაქეებსა და თანამემამულეებს.

საქართველოს რადიომაუწყებლობაში განსაკუთრებული პოპულარობით გამორჩეული ახალგაზრდული პროგრამების მთავარი რედაქცია. აქამდე იგი კვირაში ოთხჯერ გადაიცემოდა ეთერში, ივნისიდან კიდევ ერთი დაემატება. ამ პროგრამის სახელი უკვე ცნობილია — „სტუდენტური ორბიტა“.

სახეს იცვლის რადიოსადგური „სიჭაბუკე“. მალე იგი მილიონობით რადიომსმენელის წინაშე წარსდგება, როგორც „მე-10 სტუდია“. მისი საშუალებით რესპუბლიკის ახალგაზრდობას საშუალება ექნება განიხილოს დღევანდელობის აქტუალური პრობლემები, იკამათოს მათზე, გამოთქვას თავისი პოზიცია და მოსაზრება ამა თუ იმ საკითხზე.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: მომდინარეობს პოპულარული რადიოპროგრამის „პიკის საათის“ მორიგი ჩაწერა. რედაქტორები ნანა ჯაფარიძე, ნუგზარ ერგემლიძე, ტელევიზიის რეჟისორი გიორგი ებრალიძე და მხატვარი თინა გომელაური მუშაობის დროს; ტელეპროგრამის „მოამბის“ რედაქტორი მაია რუსაძე ესაუბრება თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკის „ნარიყალას“ გამომჭრელს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ლია ბალანჩიოვაძეს; რადიოს ახალგაზრდული პროგრამების მთავარი რედაქტორის მოადგილე მზია ბაქრაძე და რედაქტორი ლალი დათუკაშვილი ამზადებენ მორიგ სიუჟეტს.

ᲑᲐᲓᲠᲘ ᲕᲐᲓᲐᲨᲙᲝᲠᲘᲐᲡ და **ᲯᲐᲕᲐᲠ ᲚᲝᲛᲐᲫᲘᲡ** („კომუნისტი“). ფოტო.

გაფართოებული სამედიცინო კონსილიუმის ფინალი

5 ᲛᲐᲘᲡᲡ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში გაიმართა გაფართოებული სამედიცინო კონსილიუმი, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თბილისის 1989 წლის 9 აპრილის ამბების გარემოებათა გამომძიებელი კომისიის ქვეკომისიის წევრები, მთავარი ექიმები, საქართველოს სსრ და სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს მთავარი და წამყვანი სპეციალისტები. კონსილიუმზე განიხილეს და შეთანხმეს ავადმყოფთა დიაგნოსტიკის, მკურნალობის, რეაბილიტაციის საკითხები და მიიღეს შემდეგი ცნობა:

თბილისში 1989 წლის 9 აპრილს მომხდარი ტრაგიკული ამბების შედეგად დაღუპულთა და დაზარალებულთა შორის არიან პირნი, რომლებიც მოიწამლნენ ქიმიური ნივთიერებებით. დაზარალებულებს აღენიშნათ სხვადასხვა ხარისხის, მათ შორის მძიმე მოწამვლა.

ერთი დღე-ღამის მანძილზე არ ყოფილა არავითარი ცნობები მომწამვლელი ნივთიერების მოქმედების ხასიათის შესახებ. სამხედრო უწყებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების წარმომადგენლებს შეკითხვაზე არ მოუციათ ინფორმაცია მომწამვლელი ნივთიერებების შესახებ, უფრო მეტიც, მათი გამოყენების ფაქტს კატეგორიულად უარყოფდნენ. ამასთან დაკავშირებით 10 აპრილს დაზარალებულთათვის დახმარების გასაწევად მოწვეული იყვნენ სპეციალისტები სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროდან, რომლებმაც დადგინეს, რომ მოწამვლა გამოიწვია ნეიროტროპული (ქოლინოლეტიკური) ეფექტის კომპონენტების მქონე გამაღიზიანებელი (ცრემლსადენი) მოქმედების ნივთიერებებმა, ნივთიერებათა მოქმედების ხასიათის შესაბამისად დანიშნულია მკურნალობა: დეზინტოქსიკაციური თერაპია, გალანტამინი და ა. შ.

დიაგნოზისა და მკურნალობის სქემის დასაზუსტებლად საჭირო იყო გამოყენებულ ნივთიერებათა შედგენილობის დადგენა. 14 აპრილს შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარებისა და სამხედრო საოლქების წარმომადგენლებმა დაადასტურეს მხოლოდ ქლორაცეტოფენონის (ცრემლსადენი ნივთიერების) გამოყენება. მაგრამ დაზიანების არსებული კლინიკური სურათი ვერ თავსდებოდა მხოლოდ ქლორაცეტოფენონის (**ᲥᲐᲨᲘᲡ**) ზემოქმედების ფარგლებში. გამოყენებულ ქიმიურ ნივთიერებათა შესახებ ინფორმაციის უქონლობამ გააძნელა მოწამვლის მიზეზებიაა და მკურნალობის ტაქტიკის დაზუსტება, გართულებათა მიზანმიმართული პროფილაქტიკა. კონკრეტულ ნივთიერებათა შესახებ ცნობების ნაკლებობა საშუალებას არ იძლეოდა შეემუშავებინათ იმ ტერიტორიებისა და შენობების გაუვნებლობის სანიტარიულ-ჰიგიენური ღონისძიებანი, სადაც გამოყენებული იყო ქიმიური ნივთიერებანი. შში დადასტურდა: რამდენიმე დღის შემდეგ მოვლენების ადგილს მახლობლად ტერიტორიაზე მდებარე საქართველოს თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტებმა და თბილისის №1 საშუალო სკოლის მოსწავლეებმა მწვავე მოწამვლის ნიშნებით მიმართეს სამედიცინო დაწესებულებებს. დაზარალებულთა კონსულტაციისა და პრაქტიკული დახმარების გაწევის მიზნით, რომლებსაც სხვადასხვა სიმპტომატიკა ჰქონდათ, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ განმეორებით მოიწვია სპეციალისტების ჯგუფი — ტოქსიკოლოგი, ბავშვთა ტოქსიკოლოგი, ნეიროპათოლოგი, ფსიქიატრი, თერაპევტი, კარდიოლოგი, ენდოკრინოლოგი.

21 აპრილს საზოგადოებრივი სამედიცინო კომისიის წევრებმა მიმართეს სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრს და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრს განცხადებით, რომ საჭიროა მიაწოდონ ინფორმაცია გამოყენებული ქიმიური ნივთიერებების შესახებ. ამას პასუხი არ მოჰყოლია. და კვლავ, 28 აპრილს, მთავრობის სახლის წინ ტერიტორიის გაწმენდის დროს მრავალმა მცხოვრებმა მოწამვლის ჩივილით მიმართა სამკურნალო დაწესებულებებს. ათობით მათგანი ჰოსპიტალიზებული იყო. ამ ავადმყოფობას კონსულტაცია გაუწია სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სპეციალისტთა ჯგუფმა, რომლებიც შივიდნენ დასკვნამდე, რომ მოხდა ადამიანთა მწვავე მოწამვლა გამაღიზიანებელი და ნეიროტროპული მოქმედების ნივთიერებით ან ნივთიერებებით. კვლავ მოსულ ავადმყოფთა კლინიკური სურათი ისევ არ თავსდებოდა **ᲥᲐᲨᲘᲡ** მოქმედების ფარგლებში. ყოველივე ამან გაართულა საერთო სიტუაცია, ხელი შეუწყო ნევროზული მდგომარეობის (ფსიქოგენიის) განვითარებას, რასაც მოწმობს მოწამვლის გამო მომართვების რიცხვის მკვეთრი ზრდა.

რესპუბლიკის ხელმძღვანელობის, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მტკიცი მოქმედებით, წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საკავშირო საზოგადოების ხელშეწყობით მოხერხდა მიგვეღო ინფორმაცია 9 აპრილს გამოყენებული პირობითად „ჩერიომუხად“ წოდებული სპეციალური საშუალებების შესახებ. მათს შედგენილობაში შედის: **ᲥᲐᲨᲘ**, ქლადონი, იზოპროპილის სპირტი, მცენარეული ზეთი, ხოლო ზოგიერთში — დენთი, ქლადონი — ნეიტრალური გაზი, საფრქვეველი, **ᲥᲐᲨᲘ** — გამაღიზიანებელი მოქმედების მომწამვლელი ნივთიერება (ცრემლსადენი). იზოპროპილის სპირტი წარმოადგენს გამხსნელს, ტოქსიკურია, მცენარეული ზეთი ხელს უწყობს ფიქსაციას.

პირველად ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ გამოყენებული იყო გამაღიზიანებელი მოქმედების მეორე ქიმიური ნივთიერება სი-ესი, რომელიც ზემოქმედების ძალით ათჯერ აღემატება **ᲥᲐᲨᲘᲡ** და, ამავე დროს, აქვს დიდი კონცენტრაციის ნეიროტროპული ეფექტი. სი-ესი გარკვეულ პირობებში მედეგია გარემოში (4 კვირაზე მეტი). მას ხმარობდნენ როგორც პოლიციურ გაზს და როგორც საბრძოლო აგენტს, რომელიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გამოიყენა ვიეტნამში. ლიტერატურის მონაცემებით, გარკვეულ პირობებში, დიდი კონცენტრაციებით — ზემოქმედების დროს — აღინიშნება — სიკვდილის ალბათური შემთხვევები.

— ვიდრე ექსპერტები — რა ადამყოფთა კლინიკური გამოვლინებების ხასიათს, ზემოაღნიშნული ნივთიერებების შესაძლო შეზამებასა და სხვადასხვა კონცენტრაციას ზემოქმედების სხვადასხვაგვარი ხერხის დროს, შეიძლება დავასკვნათ, რომ მოწამვლის არსებული სურათი თავსდება **ᲥᲐᲨᲘᲡᲐ** და სი-ესის ზემოქმედების ფარგლებში. ამაზე დროს წარმოება დამატებითი კვლევა.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ **ᲥᲐᲨᲘ** და სი-ესი კარგად შესწავლილი ნივთიერებებია როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთაც. ამან შექმნა საჭირო შემთხვევებში სი-ესის გამოყენების შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ მკურნალობის კორექტირების შესაძლებლობა.

რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა საქინფორმის კორესპონდენტს განუმარტა:

— მთელი ეს ინფორმაცია საჭირო იყო მედიცინის მუშაკთა სწორი ორიენტაციისთვის ავადმყოფთა ჯანმრთელობის დასაცავად ბრძოლაში. ერთობლივმა კონსილიუმმა აღნიშნა, რომ მკურნალობა სავსებით ადეკვატური იყო. ამავე დროს, მკურნალობის სქემებში შეტანილია საჭირო კორექტივები, გამოიყენება დამატებითი მედიკამენტური საშუალებები.

გაფართოებული სამედიცინო კონსილიუმის წევრთა ტელევიზიით გამოსვლებში აღინიშნა, და მეც მინდა ყურადღება გავამახვილოთ ამაზე, რომ მკურნალობის მოცემულ ეტაპზე, როცა ძირითადი ამოცანაა ავადმყოფთა ჯანმრთელობის აღდგენა, უაღრესად საჭიროა მათთვის მშვიდი ვითარების შექმნა, რადგან ზედმეტი მღელვარება ასეთი პაციენტებისათვის ძალზე მავნებელია. ვთხოვთ საზოგადოებრიობას ზედმეტად ნუ შეაწუხებენ ავადმყოფებს. (ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

სტიქია და ადამიანები

გულის სითბო—დაზარალებულებს

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ, 6 მაისი. **(საქინფორმის კორ. თამაზ გენძეხაძე).** ამ დღეებში უამრავი საქმე აქვს ბათუმის ტურბაზის „მესხეთის“ კოლექტივს. მაგრამ ისინი დაკავშირებული არ არის ტურისტული სეზონის გახსნასთან. პერსონალი ამინავებს იმათ, ვინც დაზარალდა მთიან აჭარაში სტიქიური უბედურების შედეგად.

— გამოცდილება უკვე გვაქვს, — ამბობს ტურისტული კომპლექსის „მესხეთის“ დირექტორი გუბაზ ვანილიში. — ჩვენთან ცხოვრობენ სომხეთში დამანგრეველი მიწისძვრის შედეგად დაზარალებულები. ახლა მივიღეთ 115 კაცი ხულოს რაიონის სოფელ წაბლანიდან. ყველანი დავბინავეთ, მაგრამ გვიჭირს პრობლემები. დაზარალებულთა შორის უმრავლესობა ბავშვები არიან. მათ გულმოდგინე მოვლა სჭირდებათ, განსაკუთრებით — ძუძუთა ბავშვებს. უნდა მოვაწყოთ ბავშვთა კვება, ჩვენი კვების ბლოკი მოვამარაგოთ შესაბამისი პროდუქტებით, კერძოდ, ბოსტნეულით, ხორცეულით, პროდუქტებით. გვაკლია საპონი, სარეცხი საშუალებები. ეს საკითხი უწინარესად უნდა გადაწყდეს.

—დაცარიელდა ჩვენი სოფელი, — ამბობს წაბლანელი კოლმეურნე იოსებ შაინიძე. — გეოლოგთა დასკვნით, ცხოვრება იქ კატეგორიულად აკრძალულია. ჩემი სახლის გვერდით, მაგალითად, ერმა ბზარი წარმოიშვა. ჩემი ოჯახი 12 კაცისაგან შედგება. დროებით მეზობლებთან გადავედით. ახლა კი ყველას ბათუმში ჩამოვიყვან. მაგრამ ეს არ გვამშვიდებს. გლეხი ვარ და მიწას შევეჩვიე, ახლა კი ყანაში მუშაობის დროა.

— დიდხანს ვაშენებდით ჩვენს სახლს წაბლანაში, — თქვა კოლმეურნე ეთერ აბაშიძემ. — სულ კი სამ წელიწადს მოგვიწია იქ ცხოვრება. ახლა იძულებული ვართ მივატოვოთ ჩვენი მშობლიური კერა. ყოველი მხრიდან საფრთხე ელის.

— ბარაქიანი მიწა გვქონდა, — განაგრძო თანამოსაუბრის ანრი კოლმეურნე ზურაბ შაინიძემ. — მოგვყავდა თამბაქო, სიმინდი, კარტოფილი, კომბოსტო, ხილი. ახლა არაფერი ეს აღარა გვაქვს. მთა ვერა და ვერ დაწყნარებულა. მეწყერები გრძელდება. მაგრამ ხალხი მუშაობს. მათ შორის არის რვაწლიანი სკოლის დირექტორის დავით შაინიძის ჯარიდან ჩამოსული ვაჟიშვილი — 18 წლის მამუკა. ვერ ისვენებს ჯარისკაცი, მამას ეძებს. მისი არასრულწლოვანი და-ძმები კი ჩვენთან არიან. ყველას ერთად უფრო გვიადვილდება უბედურების გადატანა.

— ერთი-ორი დღის შემდეგ წავალთ „ხეთის“ რაიონებში, — ამბობს წაბლანის საშუალო სკოლის დირექტორი გალი ბერიძე. — შევარჩევთ ადგილს, და ისევ დავიწყებთ მუშაობას. გვინდა ერთად ვიცხოვროთ 240-ვე კომლმა, გვინდა ახალ სოფელს წაბლანა დავარქვათ.

განვიხილავთ „ზოგადი პრინციპების“ პროექტს

იმედი და წინდახედულება

ᲘᲡᲔᲕ ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲗᲐᲝᲑᲐᲖᲔ

ᲘᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, რომ ჭეშმარიტი დემოუკიდებლობა მოვიპოვოთ, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა ჩვენვე უნდა ვმართოთ როგორც ერთიანი კომპლექსი. მას ვერ გამოაკლდება ვერც ერთი დარგი, მათ შორის ვერც სამხედრო მრეწველობა. ამ დარგის საქმეები უჩვენოდ ვერ მოგვარდება, რადგან მის გარეშე მოლიანობაში ვერ განვიხილავთ დარგთაშორისი კავშირების სრულყოფის, შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენების, ეკოლოგიის სიწმინდის დაცვისა და სხვა საკითხებს, ხოლო ცენტრმა რესპუბლიკათა სახალხო მეურნეობაზე, მის სტრუქტურაზე დაე, ძირითადად საკავშირო სახელმწიფო დაკვეთების მეშვეობით მოახდინოს გავლენა. დარგობრივ სტრუქტურაზე უფრო უშუალო და კონკრეტულ ზემოქმედებას მოახდენდა რესპუბლიკური დაკვეთები. მკაცრად შეზღუდული სავალდებულო დაკვეთების სისტემა გახდებოდა ადმინისტრაციული დიქტატისაგან თავისუფალ, არასაუწყებო ნიშნით შექმნილ საწარმოთა მართვის მთავარი ბერკეტი. ეს გულისხმობს მართვის სტრუქტურის დახვეწა-გამარტივებას, მისდამი არსებითად ახალ მიდგომას, ამიტომ უნდა „ჩავეკვეთ“ ამ საკითხს ძირში და გავარკვიოთ, რამ უნდა მისცეს საწარმოებს ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მეთოდებისადმი იმგვარი შეუვალობა, რომ საბოლოო ანგარიშით ამან რესპუბლიკური სამეურნეო ანგარიშის საძირკველი შექმნას.

ასეთი შეუვალობა, ასეთი დამოუკიდებლობა აქვს მხოლოდ კოლექტიურ იჯარას, თუ იგი ნამდვილი იჯარაა. ნამდვილი კი მაშინ არის, როცა საწარმოს საიჯარო გადასახადი ერთია და სტაბილური და როცა ამ გადასახდელისა და სახელმწიფო დაკვეთის ზემოთ საწარმოს რჩება ფართო ასპარეზი თავისუფალი მოქმედებისათვის. პარტნიორებად შეიძლება გამოდიოდნენ სხვა საწარმოებიც, რესპუბლიკაც, დარგობრივი მართვის საკავშირო ორგანოც და სხვანიც და სხვანიც. მეურნეობას გაძღოლის ჭეშმარიტად ეკონომიკური, სამეურნეო-ანგარიშიანი მეთოდები სრულებით არ შეუშლის ხელს იმას, რომ საწარმოებთან და მაშასადამე, ერთმანეთთანაც ითანამშრომლონ მართვის სრულიად სხვადასხვა ინსტანციებმა, მათ შორის საკავშირომ, რესპუბლიკურმა, ადგილობრივმა, დარგობრივმა, დარგთაშორისმა და სხვ. მართვის ორგანოები მოწოდებულნი არიან ათასგვარი სამსახური გაუწიონ საწარმოებს: შეისწავლონ მათთვის მოთხოვნილება და მოთხოვნა, ბაზარი საერთოდ, მიაწოდონ სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაცია, დაეხმარონ წარმოების, გაცვლისა და მოხმარების ორგანიზაციაში, სარეკლამო საქმეში, იშუამავლონ საწარმოთა შორის, მათსა და სხვა რესპუბლიკებსა თუ ქვეყნებს შორის, თავის თავზე აიღონ მათი მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და მათი პროდუქციის გასაღების საქმე და ა. შ. ეს სამსახური ნებაყოფლობითი და ფასიანი უნდა იყოს. სამსახურს უნდა ჰქონდეს არჩევანი — დამოუკიდებლად ან სხვა საწარმოებთან თანამშრომლობით შეასრულოს ეს ფუნქციები თუ ნებაყოფლობით მიანდოს მათი შესრულება მართვის ამა თუ იმ რგოლს; მაგრამ კომერციული პირობები მას ამ ბოლო ვარიანტისაკენ უნდა უბიძგებდეს, ეს უფრო იაფი უნდა უჯდებოდეს. იაფი კი იმ შემთხვევაში დაუჯდება, თუ შეიქმნება ამგვარი, იაფი მომსახურების სახელმწიფო (საბიჯეტო) სტიმულირების სისტემა.

ურთიერთობის ასეთი სისტემა მთლიანად იქნება სამეურნეოანგარიშიანი. მართვის რგოლები მასში შეასრულებენ და დაიმკვიდრებენ კიდეც თითოეული მათგანისთვის სპეციფიურ ფუნქციებს, ხოლო სხვათა მხრივ ამ ფუნქციებში „შეცლების“ შესაძლებლობა მათ არ მისცემს საშუალებას მოადუნონ სიფხიზლე, გადაიქცნენ მონოპოლისტებად, გამომძალველებად, პარაზიტებად.

მართლაც, სახელმწიფო დაკვეთები საზოგადოების ხელში მხოლოდ სახალხო-სამეურნეო პროპორციების დაცვის საშუალება კი არაა, იგი უნდა გამოიყენონთ იმისთვისაც, რომ განვამტკიცოთ მართვის სამეურნეოანგარიშიანი სისტემა, განვაფორიციელოთ თანასწორი პარტნიორობის პრინციპი და ამავე დროს ისიც უზრუნველყოთო, რომ მართვის ორგანოებმა მუდმივ კონკურენტულ ბრძოლაში დაიმკვიდრონ თავ-თავისი ფუნქციები. ამისათვის, ერთის მხრივ, უნდა შეეზღუდოთ სავალდებულო სახელმწიფო დაკვეთები და მოვახდინოთ მათი დიფერენციაცია ტერიტორიული მართვის საფეხურებისა და დარგების მიხედვით, და მეორე მხრივ, მივცეთ თითოეულ დამკვეთს არჩევანის საშუალება. თუ, ვთქვათ, საკავშირო სავალდებულო დაკვეთის წილი მთლიანობაში შეადგენს 20-25 პროცენტს რესპუბლიკის საწარმოო სიმძლავრეებისა, ცალკეულ დარგებში ამ დაკვეთის „ჭერი“ სხვადასხვაგვარად შეიძლება გაბისაზღვროს, — ვთქვათ, მანქანათმშენებლობაში იგი შეადგენდეს 50 პროცენტს (მის ცალკეულ ქვედარგებში — მეტსაც), ადგილობრივ მრეწველობაში — 20 პროცენტს და ა. შ., დაე, თუ მოინდომა, ამ დარგზეც მიუწვდეს ხელი ცენტრსა და მისი მეშვეობით — საკავშირო მომხმარებელს. ხომ შეიძლება ამ დარგშიც შეიქმნას ისეთი პროდუქცია, რომელიც ყველას დააინტერესებს. საავალდებულო დაკვეთის უფლების გამოყენებით მოახდენს გავლენას ცენტრი სახალხო მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურაზე, ამ უფლების შეზღუდული ხასიათი კი რესპუბლიკებსა და, საერთოდ, რეგიონებს საშუალებას მისცემს, თუ მათ ეს საჭიროდ ჩათვალეს, თანდათან (საავალდებულო დაკვეთის ფარგლებს ზემოთ), შეაკეცონ ამა თუ იმ სახის საქონლის წარმოება და ასე დაიღუნონ თავი ცალმხრივობებს ეკონომიკურ განვითარებაში.

რაც შეეხება რესპუბლიკურ საავალდებულო დაკვეთას, იგი სახელმწიფო დაკვეთის უფრო მდიდარ ფორმად უნდა იქცეს, — იგი უნდა მოიცავდეს საკავშირო საავალდებულო დაკვეთას, მთლიანობაში აღემატებოდეს მას; მანვე უნდა „გაატაროს“ საკავშირო დაკვეთა „ზემოდან ქვემოთ“, რადგან საწარმომდე უნდა მიდიოდეს ერთი მთლიანი საავალდებულო დაკვეთა.

ალბათ ღირს დაფიქრება იმაზეც, განამტკიცებდა თუ არა თანასწორი პარტნიორობის სისტემას, გაამდიდრებდა თუ არა მართვის ორგანოთა სამეურნეოანგარიშიან ფუნქციებს ის, რომ სახელმწიფო დაკვეთა შეეტრწყას საიჯარო ქირას და საწარმომ იხადოს ძირითადად არა ფულადი გადასახადი, არამედ თავისებური ნატურალური „ღალა“, — საქონელი, რომლის მეპატრონეს „ჭირისუფალი“ უკვე დამკვეთი გახდება. ამით უფრო მტკიცედ გადაეწნასკვება ერთმეორეს საწარმოსა და საზოგადოების ინტერესი. გამოიკვეთება თავისებური საკუთრებითი ურთიერთობაც: ნატურალური „ღალა“ იმის მაჩვენებელი იქნება, რომ კოლექტივმა შექმნილი პროდუქტი გაუყო საზოგადოებას, როგორც წარმოების საშუალებათა მესაკუთრეს. საზოგადოებრივი საკუთრება იმითაც უნდა გამოიხატოს, რომ მართვის შესაბამისმა ორგანომ, დაკვეთის სიდიდის ფარგალში, მიიღოს საუკეთესო ნაწილი. მოიჯარე კოლექტივის მიერ შექმნილი პროდუქციისა (ან — მომსახურებისა. გავიხსენოთ ჩვენი მსჯელობა საკურორტო-ტურისტულ მეურნეობაში სახელმწიფო დაკვეთის შესახებ). თავის შანსს ეს ორგანო არ გაუშვებს ხელიდან, უთუოდ საუკეთესო საქონელს აარჩევს, თუ იგი ჭეშმარიტად გახდა მეურნე (სამეურნეოანგარიშიანი სუბიექტი), თუ ამ საქონლის სარფიან გასაღებას დაუკავშირდა მის მუშაკთა შრომის სტიმულირება.

საწარმოსა და ზემდგომ რგოლებს შორის შექმნილი დოგლათის ასეთი განაწილებას შეუძლია დააშორიშოროს საქონლის რეალიზაციის არხებიც, თუ ეს მხარეებმა ისურვეს. თუ არა და, საქონელს გაყიდიან წელობრივ საწყისებზე ისევე და იქვე, როგორც და სადაც მანამდე იყიდებოდა.

იქნებ ღირდეს საწარმოში შექმნილი დოგლათის ასეთ გაყოფას სავალდებულო ხასიათი მიეცეს და იმ შემთხვევაშიც მიიღოს სახელმწიფომ საქონლის თავისი წილი, როცა არ სურს. ეს მას უფრო მეტად დააინტერესებს თვითონაც იზრუნოს, რომ ამ სავალდებულო დაკვეთის შესასრულებლად საწარმო იაფი და ვარგისი წარმოების საშუალებებით მოამარაგოს, სხვა მხრივაც გაისარჯოს, რათა ამით წვლილი შეიტანოს ხარისხიანი საქონლის შექმნაში. ხოლო თუ ასეთი დაკვეთა შიშველი ნატურალური „ღალის“ სახეს კი არ მიიღებს, არამედ სტაბილური (მინიმალური) ფასით შესრულდება, იგი საწარმოსათვის მხოლოდ ხარკი აღარ იქნება, და გადაიქცევა საქონლის გარანტირებული გასაღებისა და სტაბილური, თუნდაც მინიმალური, შემოსავლის მიღების წყაროდ, კონიუნქტურულ რყევათაგან თავის დაზღვევის საშუალებად. ამის ზემოთ კი ნუ ჩავუკლავთ საწარმოს სწრაფვას — ეძიოს წარმოებისა და გასაღების სარფიანი სფერო და პირობები. მივანდოთ სახელმწიფო დაკვეთის ფარგლებს ზემოთ ფასების ჩამოყალიბების სქემე ბაზარს. რა ვუყოთ, თუ დღეს იგი ფასს არ ამცირებს, — რაოდენ ძვირიც არ უნდა იყოს საქონელი „თავისუფალ“ ბაზარზე, საზოგადოება თავისი კუთვნილი იაფი საქონლით მოაბდენს სიძვირის კომპენსაციას.

როგორც ვხედავთ, კვლავ ფასთა საკითხს დავუბრუნდით იმ დასკვნით, რომ საქონელთა მთელს მასაზე ერთდროულად ფასთა ორი სისტემა გვჭირდება — თავისუფალი და სტაბილური (შეზღუდული) ფასებისა. სავალდებულო დაკვეთის სახელმწიფო მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ჯავშის შეშვეობით, შეზღუდული ფასების სიმცირე სახალხო მეურნეობის ერთი რგოლიდან მეორეს გადაეცემა და საბოლოო შედეგის სიიაფეს მოგვცემს. თუ ამ სისტემას სწორად დაუკავშირებთ ადამიანთა მოთხოვნილებასა და მოთხოვნას, ვფიქრობ, იგი ბევრ სასიკეთო ცვლილებას შეიტანს წარმოებითი ურთიერთობის მთელს სისტემაში, იწინარეს ყოვლისა ის ცვლილებას, რომ მართვის ტერიტორიული რგოლი გადაიქცევა მოსახლეობის მსახურად იაფი და ხარისხიანი დოგლათის მიწოდების საქმეში. ეს რგოლი არც იმ სწრაფვას დაკარგავს, რომ ძვირად გაყიდოს საქონელი, ეძიოს წარმოების შემოსავლიანი დარგების განვითარების გზები და გასაღების სარფიანი სფეროები და ამ ასპარეზზე მოქმედებდეს თავისუფლად, „ზემოდან“ მოუქირილი მარწუხების გარეშე, ამოდიოდეს მხოლოდ საზოგადოებრივი მოთხოვნის არსებობიდან, მაშასადამე, უფლებაც ჰქონდეს, თავის წილ საქონელზე თვითონ დაადოს ფასი, გაიტანოს ეს საქონელი იქ, სადაც უფრო სარფიანად გასაღდება, ითანამშრომლოს თავის საწარმოებთანაც საქონლის ერთობლივად გატანის საქმეში და ა. შ. წინააღმდეგ შემთხვევაში დაიკარგება წარმოებისა და ვაჭრობის მომგებიანობის ბუნებრივი სტიმული და მოთხოვნაც დაუკმაყოფილებელი დარჩება.

„ზოგადი პრინციპების“ პროექტში ასეთი რამ, როგორც ითქვა, არაა გათვალისწინებული, რესპუბლიკის კომპეტენციას ფასწარმოქმნის სფეროში პროექტი ზღუდავს არსებითად იმ საქონლით, რომელიც ადგილობრივ იუბრმოება და მოიხმარება, თან ამ სფეროშიც მოითხოვს ვიხელმძღვანელოთ ფასწარმოქმნის საერთო-საკავშირო პრინციპებით, რომლებიც კვლავ ხარჯვითი მოდელის ტყვეობაშია (ფასს შეზღუდავა ხომ მხოლოდ ხარჯებზე მისი „მიბმით“ შეიძლება, ეს კი მწარმოებელს უბიძგებს, ხელოვნურად გაბეროს ხარჯი და ამით მიაღწიოს მოგების ნორმატივის ამაღლებასაც). ამ მოდელს ჩვენ უნდა დავუპირისპიროთ პრინციპი: **დაგვაკვეთეთ და ნაიღეთ დაკვეთილი საქონელი სტაბილურ, დაბალ ფასად, ამის ზემოთ კი ჩვენ თვითონ უნდა გვქონდეს უფლება ვაწარმოოთ რაც გვინდა, გავყიდოთ სადაც და რა ფასადაც გვინდა.** გავიიანგარიშოთ საკავშირო დაკვეთის წილი და ამ დაკვეთაში ჩასადები ფასი ისე, რომ „კავშირი წაგებული არ დარჩეს. ჩვენ კი უთუოდ დარჩებით მოგებული: გაჯანსაღდება სამეურნეო მექანიზმი, ყველასათვის გასაგები გახდება სტიმულები, მწარმოებელს დაეზღვება დრო და სანაცვლოდ მზად იქნება, შემოსავლის ნაწილი რესპუბლიკისა და მთელი ქვეყნის საესარგებლოდ გაიღოს. ეს მოგება მომავალში კიდევ უფრო მეტად იჩენს თავს, რადგან მსოფლიო ბაზარზე სწრაფად იზრდება მოთხოვნა ნებისმიერი დარგის გამორჩეულ, იშვიათ საქონელზე, საქართველოს კი ბუნებით აქვს ნაბოძები უნიკალური სასარგებლო თვისებების პროდუქციის წარმოების პირობები. იმიდია თავისას იზამს ქართველი კაცის ბუნებით ნაბოძები სწრაფვაც — შექმნას უნიკალური, გამორჩეული დოგლათი — მატერიალური იქნება თუ სულიერი.

ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘᲐ, საგაზეთო წერილში კვლავის პროგრამის საკითხთა მხოლოდ ერთ ნაწილს შევეხეთ, თანაც, ბევრი რამ დაუსაბუთებელი დაგვრჩა.

დაბაბუთებას მოითხოვს ის საკითხი, შეიძლება თუ არა „მოერგოს“ რესპუბლიკური სამეურნეო ანგარიშის ზემოთ შემოთავაზებულ მონახაზს საწარმოს საამეურნეო ანგარიშის პირველი ან მეორე მოდელი. ხოლო რამდენადაც ჩვენ იჯარა ვამჯობინეთ, რა ვუყოთ მის იმ ჩრდილოეთან მხარეებს, დღეს რომ ახლავს ამ ფორმას, როგორ უზრუნველვყოთ მოიჯარეთა შერჩევა საჯაროობის, პატიოსანი შეჯიბრების საფუძველზე, მათთვის პატრონის გრძნობის გამაფერება, მოიჯარე კოლექტივები ჭეშმარიტად კოლექტიური სულის შენარჩუნება-განვითარება და, რაც ალბათ ყველაზე მთავარია, კონიუნქტურული რყევის გავლენის თავიდან აცილება, რასაც შეუძლია საზოგადოების კლასობრივ დიფერენციაციამდე მივიყვანოს.

ამასთანავე დაკავშირებული კიდევ ერთი საკითხი. დიდხანს ითვლებოდა და ჯერაც ვერ შევნიშნავართ იმ წარმოდგენას, რომ საბჭოთა ხალხს სოციალურ გარანტიების სახელმწიფო უქმნის ერთიანი, ცენტრალიზებული წესით — უფასო განათლების სისტემით, უფასო სამედიცინო სამსახურით, საპენსიო უზრუნველყოფითა და კიდევ მრავალი სხვა სიკეთით, რომელთა შორის განსაკუთრებით მიუთითებდნენ ხელფასის მინიმუმის დაწეს

როგორ მივდივართ ჭეშმარიტებისაკენ

სახელმწიფო კომისია მუშაობს

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგამოძიებო კომისიის სხდომაზე გამოიკვეთა, რომ საგამოძიებო ქვეკომისიამ ერთგვარად დასსრულა თავისი მუშაობის პირველი ეტაპი, დაკონკრეტდა, რა სახის დანაშაულობებია ჩადენილი და ვინ იყო ამ დანაშაულთა მსხვერპლი. მუშაობა სამი მიმართულებით მიმდინარეობს: მშვიდობიან დემონსტრანტთა დარბევის ფაქტის გამოკვლევა, მილიციის მუშაკთა მიმართ ჩადენილი დანაშაული მათ მხრივ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს და კომენდანტის საათის წესების დარღვევები. მეორე ეტაპზე უკვე ზუსტად უნდა განისაზღვროს, თუ კონკრეტულად ვინ უნდა აგოს პასუხი ჩადენილი დანაშაულებისათვის. ქვეკომისიის ხელმძღვანელს, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ თენგიზ ლილუაშვილს ვთხოვეთ უფრო ვრცლად მოეთხრო ჩვენი მკითხველებისათვის, რა მასალებია მოპოვებული.

— ჩვენი საქმიანობის ერთადერთი ორიენტირია ჭეშმარიტება. ამა თუ იმ მოვლენის სამართლებრივი შეფასებისათვის საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, ამ მოვლენის სარწმუნოდ დადგენა-დოკუმენტირება. ამიტომ ამ მიზნით საჭიროა მივმართოთ მოწმეთა და დაზარალებულთა ახსნა-განმარტებებს, ესე იგი, იმ ადამიანთა ჩვენებებს, რომლებიც უშუალოდ ძალადობლებდნენ 9 აპრილის მიტინგში და იქ იყვნენ იმ დროს, როცა დარბევა დაიწყო. შევაგროვეთ და კვლავაც ვაგროვებთ, ძრავალ ნივთსა თუ საგანს, რომელიც ჩვენთვის საჭირო ფაქტს დაგვიდასტურებს. უკვე ვესაუბრეთ და გამოვკითხეთ 100 მოქალაქე, თავი მოვუყარეთ ნივთიერ მტკიცებულებებს, გავაანალიზეთ და შევაფასეთ ისინი.

— ბატონო თენგიზ, მკითხველები ღელავენ, განა ყველაფერი ნათელი არ არის, რაღა დასადასტურებელია. რითი შეიძლება მათი დაშოშმინება?

— 9 აპრილის ტრაგედიის შესახებ ყველას ერთნაირი მოსაზრება არა აქვს, რაც უმთავრესად იმის ბრალია, რომ ყველას არა აქვს სწორი ინფორმაცია მოხმდარის შესახებ. ხოლო ზოგჯერ ეს ინფორმაცია, სამწუხაროდ, გაყალბებულია. ეს გვიჯავს აღვადგინოთ ნამდვილი სურათი, განვსაზღვროთ მოვლენის არსი, უფრო კონკრეტულად ვერაფერს ვიტყვი, მუშაობა ჯერჯერობით გრძელდება, საბოლოო დასკვნებს მოკლე ხანში ჩამოვაყალიბებთ, თუმცა ზოგიერთი რამ შემიძლია ახლავე მოგახსენოთ. ჯერ ერთი, ჩემი აზრით, ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ მოთხოვნა, რომლის განხორციელებაც სურდათ მიტინგის მონაწილეებს, და მოწოდება, რომლებიც ხშირად შეფასებითი შინაარსით ამოიწურებოდა. სამაგალითო ნიმუშად გამოდგება მოთხოვნა: საქართველოს საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გამოსვლის შესახებ. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირიდან გასვლის უფლება კონსტიტუციური უფლებაა, ამიტომ, ასეთი მოთხოვნა შეუძლებელია ანტისაბჭოურად მივიჩნიოთ.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, თუ რა გზა იყო არჩეული. ამ მოთხოვნების მასაღწევად ხომ ორი ძირითადი გზა არსებობს: შეიარაღებული აჯანყების მოწყობა, არსებული ხელისუფლების ძალის გამოყენებით დამხობა, და მეორე, ეს არის მშვიდობიანი გზა, კერძოდ: მოლაპარაკებანი, შეთანხმებანი, დათმობანი, მიტინგები, დემონსტრაციები, შიმშილობა და ა. შ. სწორედ მშვიდობიანი გზა, შიმშილობის გამოცხადება, აირჩიეს მოქალაქეებმა თავიანთი მოთხოვნების განხორციელების საშუალებად.

ჩვენს მიერ შეგროვილი უამრავი ახსნა-განმარტების საფუძველზე დასტურდება, რომ მიტინგის მონაწილეებს არა მარტო არ გამოუყენებიათ ძალადობა, არამედ ცდილობდნენ თვითონვე აღეკვეთად ყოველგვარი ისეთი მოქმედება, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ ძალადობის გამოყენების მცდელობის მიმნიშნებელი იქნებოდა.

— გვითხარით, როგორც იურისტმა, დასაშვებია თუ არა მშვიდობიანი მიტინგის ასე დარბევა საბჭოთა კანონმდებლობით?

— შემიძლია კატეგორიულად გიპასუხოთ, რომ ჩვენი კანონმდებლობით ეს დაუშვებელია. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების თითქმის ყველა ძირითადი მუხლი. ბრძანებულებაზე მოგახსენებდით. მის თანახმად წესრიგის აღდგენაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მხოლოდ შინაგან ჯარებს, რაც შეეხება საბჭოთა არმიის ნაწილებს, მათი მონაწილეობა ამ მიზნით საერთოდ არ არის გათვალისწინებული ბრძანებულებით. ეს სერიოზული დარღვევაა. რომელიც აგრეთვე საჭიროებს სათანადო ანალიზს.

— თქვენ განაცხადეთ, რომ იურიდიული შეფასება უნდა მიეცეს იმასაც, რომ დასახჩრებულები და მოწამლულნი არიან მილიციის მუშაკებიც. იქნებ ამაზე გვითხრათ ორიოდე სიტყვა.

— უნდა მოგახსენოთ, რომ მილიციის მუშაკების მიმართაც ჩადენილია სერიოზული დანაშაული. საბჭოთა კანონმდებლობა ითვალისწინებს სასჯელის ერთობ მაღალ ზომას მილიციის მუშაკის სიცოცხლის ხელყოფისათვის მათი სამსახურებრივი ან საზოგადოებრივი საქმიანობისას. ამჯერადაც ისინი სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდნენ, ესე იგი, მათი სიცოცხლის ხელყოფისათვის პასუხი უნდა აგოს ყველამ, განურჩევლად იმისა, თუ რა თანამდებობა ან წოდება აქვს. და ბოლოს, აქვე დავუმატებ, რომ სერიოზული დარღვევებია კომენდანტის საათის შემოღებასთან დაკავშირებით. კომენდანტის საათის შემოღება მოსახლეობას აცნობეს 22 საათსა და 56 წუთზე. ე. ი. 4 წუთით ადრე, ვიდრე ასეთი საათი დაიწყებოდა. თავისთავად ცხადია, თბილისის მოსახლეობის ნახევარზე მეტს არ შეიძლებოდა სცოდნოდა ეს. ასეთ დარღვევას კი მოჰყვა ნამდვილი ტრაგედია. მოკლეს. სრულიად უდანაშაულო, ცოლშვილიანი ყმაწვილი კაცი, რომელსაც მანქანით მიაცილებდნენ შინ მეგობრები.

— ბატონო თენგიზ, ძნელია ახსნა, მაინც, რატომ იყვნენ ჯარისკაცები და მათი ოფიცრები ასეთი გაბოროტებულები. ითქვა, რომ ჯარისკაცებმა იცით მხოლოდ ის, თუ როგორ უნდა ებრძოლონ მტერს და მათ არ უნდა ვუპირისპირებდეთ მშვიდობიან მოსახლეობასო. კეთილი, ესე იგი, მათ გამოავლინეს თავიანთი საბრძოლო ჩვევები, მაგრამ რითი ავხსნათ ის შეძახილები, რომლებსაც ნიჩაბთან და მუშტთან ერთად არ იშურებდნენ?

— იმის თქმა, რომ გაბოროტება წინააღმდეგობამ გამოიწვია, გამორიცხულია. ასეთი რამ არ ყოფილა.

— შეგაწყვეტინებთ, ბატონო თენგიზ, სამხედრო, პროკურატურა დამტკიცებულად მიიჩნევს, თითქოს წინააღმდეგობა სწორედ რომ ყოფილიყოს, რომ მიტინგის მონაწილენი ჯერ კიდევ 7 აპრილიდან ემზადებოდნენ მედგარი წინააღმდეგობის გასაწევად.

— რა წინააღმდეგობის გაწევა შეეძლოთ თავით ფეხამდე საბრძოლოდ აღჭურვილი ჯარისკაცებისათვის 16-18 წლის გოგონებს, ფეხმძიე ქალს, 70 წლის მოხუცს. ეტყობა, მეთაურებს დიდი საგიტაციო მუშაობა გაუწევიათ თითქოს მომიტინგეები ანტიკონსტიტუციურ, ანტისახელმწიფოებრივ მიზნებს ეპოტინებოდნენ.

* * *

რესპუბლიკურ სანიტარიულ-ქიმიურ ლაბორატორიაში ქართველ სპეციალისტებთან ერთად მუშაობენ ჩამოსული კოლეგები, მათთან თანამშრომლობენ სამხედრო პირებიც. მათ შორის: ამერიკაკასიის სამხედრო ოლქის ქიმიური ჯარების ნაწილების უფროსი, გენერალ-მაიორი ანატოლ ბურიკოვი, სამხედრო აკადემიის ქიმიური დაცვის ინდიკაციის ლაბორატორიის უფროსი ანდრია დრუჟინინი, ამავე ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ნიკოლოზ ლოშადკინი.

ამ სპეციალისტებს ახსნა-განმარტება სთხოვა საქართველოს პიდრომეტეოროლოგიური სამართველოს გარემოს გაჭუჭყიანებაზე დაკვირვების ცენტრის ინფორმაციის სამსახურის უფროსმა თამარ მაღლაკელიძემ. მათ 20 აპრილს, როცა პირველი საშუალო სკოლის ტერიტორიაზე დასაშვებზე ბევრად მეტი ფენოლის არსებობა დაფიქსირეს, აცნობეს ამის შესახებ შესაბამის ცენტრალურ სამსახურს. ინსტრუქციის თანახმად ორი კვირის შემდეგ დამატებით უნდა შეატყობინონ, რით იყო გამოწვეული ეს შემთხვევა. საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს მთავარმა ტოქსიკოლოგმა, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა ექიმმა მიხეილ ვაშაკიძემ და შეკრებილმა სამხედრო სპეციალისტებმა კატეგორიულად განაცხადეს, რომ 9 აპრილს თბილისში გამოყენებული ვერცხრი ცრემლმდენი გაზი ვერანაირი რეაქციის შედეგად ვერ მოგვცემდა ფენოლს.

მანანა კარტოზია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კომისიაში

6 მაისს გაზეთებში გამოქვეყნებულ ჩვენი კომისიის განცხადებაში დაშვებულია უზუსტობა: წერია: „მოწამლულთა საერთო რიცხვი აღემატება 2000 კაცს". უნდა იყოს: „მოწამლის ჩვენებით მომმართველთა საერთო რიცხვი 2.500-ს აღემატება".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ქალაქ თბილისში 1989 წლის 9 აპრილს მომხდარი ამბების გარემოებათა გამომძიებელი კომისია.

აქტუალური ინტერვიუ

არაფერი სიმართლის გარდა

ისტორიული სიმართლის აღდგენას, ეგრეთ წოდებული „თეთრი ლაქების" შევსებას ახლა განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. თუ რა დისკუსიების გამართვას აპირებენ უახლოეს დღეებში ქართველი საზოგადოებათმცოდნეები, ამის შესახებ ჩვენი გაზეთის კორესპონდენტს ესაუბრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი დევი სტურუა.

— მრავალგზის დაიწერა და ითქვა, — აღნიშნა მან, რომ ავტორიტარიზმმა დიდი ზიანი მიაყენა საზოგადოებათმცოდნეობას, განსაკუთრებით უახლეს და პარტიის ისტორიას, რომელიც ოცდაათიანი წლების მეორე ნახევრიდან პარტიის მმართველი ბირთვის მიმდინარე პოლიტიკის განუყოფელ ნაწილად, სტრატეგიულ და ტაქტიკურ იარაღად იქცა. „მოკლე კურსის" ჭიდური სქემებიდან თავის დაღწევა არც ისე იოლი აღმოჩნდა და ძველის რეციდივები ახლაც იჩენს თავს.

რაც შეეხება 1918 წლის 26 მაისს, გარკვევით და არაორაზროვნად უნდა ითქვას, — ეს იყო უდიდესი პროგრესული მოვლენა ქართველი ერის ისტორიაში, ვინაიდან საქართველომ მიაღწია სახელმწიფოებრიობის აღდგენას. რა თქმა უნდა, ეს იყო შედეგი თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული დოქტრინების რევოლუციების გამარჯვებისა. ცარიზმის პირობებში ეს აქტი შეუძლებელი იქნებოდა. სხვათა შორის, ამის შესახებ ვწერდი ჯერ კიდევ 1987 წელს, ჟურნალ „მნათობში", როდესაც 26 მაისს ტაბუ ჰქონდა დადებული ოფიციალურ პრესაში.

სავსებით კანონზომიერი და მისასალმებელია, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვიტა ფართოდ აღნიშნოს ეს ღირსშესანიშნავი თარიღი ქართველი ერის ცხოვრებაში. სხვათა შორის, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდგომ პირველ წლებში ეს თარიღი საზეიმოდ აღინიშნებოდა.

ჩვენი ინსტიტუტი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად მალე გამართავს დისკუსიას საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ზოგიერთი საკითხზე. მინდა დავარწმუნო ჩვენი მკითხველი, რომ ვიხელმძღვანელებთ პრინციპით: „სიმართლე, მხოლოდ სიმართლე და არაფერი სიმართლის გარდა". დისკუსიაზე წარმოდგენილი იქნება ალტერნატიული მოსსენებები, შედგება განხილვა. წინასწარ ერთს ვიტყვი, რომ ადრინდელი გამარტივებული და მნიშვნელოვანწილად გაყალბებული კონცეფცია ამ პრობლემის ირგვლივ უარყოფილი და უკუგდებული იქნება.

შემდეგ შედგება დისკუსიები, რომლებიც შეეხება 1924 წელს, კოლექტივიზაციის განხორციელების თავისებურებას საქართველოში და ზოგიერთ სხვა აქტუალურ პრობლემას.

ჩვენს ინსტიტუტში ჩატარებულმა დისკუსიამ ეგრეთ წოდებულ „ნაციონალ-უკლონისტებზე", რომლებიც სინამდვილეში ჭეშმარიტი პატრიოტები იყვნენ და უარყოფდნენ სტალინური „ავტონომიზაციის" დოქტრატს, მეცნიერებისა და ფართო საზოგადოებრიობის მონონება დაიმსახურა და იგი დადებითად შეაფასა გაზეთმა „პრავდამ". ეს იყო ჩვენი ახლო წარსულის ისტორიის „თეთრი ლაქების" შევსების პირველი წარმატებული ცდა და ამ გზით ვაპირებთ სიარულს მომავალშიც.

დასასრულს მინდა ვაუწყო „კომუნისტის" მკითხველებს, რომ ჩვენმა ინსტიტუტმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი მიმართულ წერილში გამოთქვა თავისი პრინციპული პოზიცია 9 აპრილის ტრაგედიასთან დაკავშირებით.

სალბუნად დავედოთ სრულიად საქართველოს

სამშობლოს გარეთ ყოფნისას შენს ქვეყანაში დატრიალებული უბედურების შეგრძნება სიმორითაა გაორკეცებული. ძალზედ ძნელია გადმოცემა ის განუსაზღვრელი მწუხარება, რაც 9 აპრილის თბილისის ტრაგედიის შეტყობამ გამოიწვია საფრანგეთში მცხოვრებ ქართველობაში. ამ მძიმე დღეებში, აკადემიკოს გ. ციციშვილთან ერთად, მეცნიერებათა აკადემიის დაკალებით, პარიზში მომიხდა ყოფნა. ეს ალბათ ჩვენი ცხოვრების ყველაზე მძიმე, მოშხამული დღეები იყო. ყველა ჩვენი იქაური ნაცნობი — ქართველი იყო იგი, თუ სხვა ეროვნების წარმომადგენელი თავს ვალდებულად თვლიდა ყოველი ახალი ცნობა საქართველოდან ჩვენამდე მოეტანა და აზრი გაეგო მის შესახებ. ცნობები კი უხვად იყო. ფრანგული პრესა და ტელევიზია უდიდეს ადგილს უთმობდა თბილისში დატრიალებული ტრაგედიის ამბებს. იქაური ქართველობაც საკმაოდ სწრაფად იგებდა ყოველგვარ ახალ ცნობას და მწუხარებით რეაგირებდა.

დაუვიწყარი იყო 9 აპრილს დალუპულთა პარაკლისი პარიზის ქართულ ეკლესიაში. წირვა ქართულ და ფრანგულ ენებზე მიმდინარეობდა. გუნდი ქართულად გალობდა. აქ თითქმის მთელი პარიზელი ქართველობა შეიკრიბა. ცერემონიალი დაახლოებით ერთ საათს გაგრძელდა. „ყველა გარდაცვლილის გვარი და სახელი იქნა მოხსენიებული. ეს გვარ-სახელები საგანგებოდ იყო დაბეჭდილი და ყველა იქ მყოფს დაურიგდა.

...მრავალი შეხვედრა გვქონდა იქაურ ქართველებთან პარიზსა და ლეგალში. ივანე ციციშვილი (ფინანსისტია, ევროობანკის ერთ-ერთი ხელმძღვანელი), ჯანრი კაშია (ისტორიკოსი, საქართველო-ევროპის ინსტიტუტის ხელმძღვანელი). მამია ბერიშვილი, გიორგი ნოზაძე (ვიქტორ ნოზაძის ძმა)... კიდევ სხვა. იქ მცხოვრები ბევრი ქართველისათვის სისხლხორცეული და თანაზიარია ჩვენი ჰირი და ლხინი. განსაკუთრებული იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საპატიო აკადემიკოსის აწ განსვენებული კალისტრატე სალიას ქვრივთან — ქალბატონ ნინოსთან შეხვედრა.

...ყველა შეხვედრა ცრემლიანი იყო...

...თბილისში კვლავ გლოვაა... ალბათ დიდხანს იქნება ასე. რამდენადაც აღმაშფოთებელი ფაქტი მოხდა 9 აპრილს, იმდენად დამცინავი განცხადება გაკეთდა ამ უბედურების თითქმის ერთი თვის შემდეგ — 8 მაისს: გამოყენებული მომწამვლელი ნივთიერება ესა და ეს იყოო. ეს უკვე მრავალი მსხვერპლის შემდეგ...

საქართველოს ბევრი ჭირი უნახავს და გადაუტანია. ამ ტრაგედიასაც ვაუძლებს იგი. დღეს ყველა ქართველი ფიზიკურად უნდა დადგეს, ქუდზე კაცი გამოვიდეს... არა საომრად, საბრძოლველად, არამედ თავისი ქვეყნის ფენომენებრ აღორძინების ძალის ნათელ და ბეშმარიტ მაჩვენებლად და ამ მწუხარების ჟამს თავისი გონიერებითა და კეთილმოქმედებით, ერთიანობითა და სიმტკიცით სალხინად დაედოს მგლოვიარე სრულიად საქართველოს.

როინ მეტრეველი.

ერთი პუბლიკაციის გამო

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა, მეცნიერ საზოგადოებრიობის აღშფოთება გამოიწვია 27 აპრილს გაზეთ „პიონერსკაია პრავდაში" გამოქვეყნებულმა მასალამ, რომელსაც ხელს აწერს საკდესის კორესპონდენტი ვლადიმერ ეგოროვი, „აპრილი, თბილისი, შოთა რუსთაველის პროსპექტი...". იგი დაწერილია ტენდენციურად და შეიცავს მთელ რიგ ფაქტობრივ შეცდომებს. კორესპონდენციამ უხეშად დაამახინჯა ცხრა აპრილის გამთენიის ხანს მთავრობის სახლის წინ მომხდარი ამბების ნამდვილი მიმდინარეობა, დეზინფორმაცია შეიტანა ნორჩ მკითხველთა შორის.

ამ პუბლიკაციის გამო თავიანთი მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება გამოთქვეს ჩვენი რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმაც. ბუნებრივია, რომ საინფორმაციო თანამშრომლებმაც თავიანთ მოვალეობად მიიჩნიეს მიმართონ საკდესის ხელმძღვანელობას განცხადებით, რომელიც ივლენს „მოვლენათა თვითმხილველის" მთელ სიყალბეს, ცინიზმსა და თვალთმაქცობას.

6 მაისს გაზეთმა „პიონერსკაია პრავდამ" რუბრიკით „ვუბრუნდებით დაბეჭდილს" გამოაქვეყნა უარყოფა, რომლის ტექსტი სრულად მოგვყავს:

„ჩვენი გაზეთის 1989 წლის 27 აპრილის ნომერში გამოქვეყნდა სტატია „აპრილი, თბილისი, შოთა რუსთაველის პროსპექტი...", რომლის ავტორი წარმოდგენილი იყო როგორც საკდესის კორესპონდენტი. ამავე დროს ვლადიმერ ეგოროვი, რომელიც ნამდვილად არის საკდესის კორესპონდენტი, ამ შემთხვევაში გადიოდა როგორც კერძო პირი. საკდესის არხებით მისი მასალა არ გადაიგზავნა. „ეგოროვი მიფლეთ ... ...



...რომ მოგიტანო
მიწის ყვავილი...

ჯაბარ ლომაძის („კომუნისტი") ფოტო.

ნოდარ ჯალაღონია

გაძლიერების ნიჭი

მადლობა ღმერთო, რომ უბოძე
მამულს ყოველი:
ნიჭი ზეობის, ზეიმის თუ
ჭირთა გამოცდის.
ნიჭი დიდგორის, ვარძიის და
სვეტიცხოველის,
ნიჭი ყინწვისის, გელათის და
„ვეფხისტყაოსნის",

ნიჭი „ქართულის", „ხორუმის" და
ნიჭი „ლაშქრულის",
ნიჭი გატანის, მეგობრობის,
მტრის შეწყალების.
არა მჩურჩნელი, ორპირული,
ანდა ლაჩრული
ნიჭი კაცური, რაინდული
და ვაჟკაცური.

მაგრამ, დღეს, როცა ცა აივსო
გლოვის ზარებით,
როცა კვლავ დადგა ქართვლის დედა,
გაშლილი თმებით.
(არა მეწყერმა, არა თოვლმა,
არა ზვავებმა,
იმ ცხრა აპრილის ელდამ შეძრა
აჭარის მთები).

როცა სამშობლო დღეს კვლავ იბრძვის
უთოფოდ, უხმლოდ,
როცა სამშობლო (მერამდენედ)
კვლავ იძაბება.
დღეს საქართველოს თუ სჭირდება
ყველაზე უფრო —
ნიჭი სიფხიზლის, ჭირთა თმენის,
ნიჭი გაძლების.

1989 წლის აპრილი

ავტორის თხოვნით, ამ ლექსის და აგრეთვე მიმდინარე წლის ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული ლექსების პონორარი გადაირიცხება აჭარაში სტიქიური უბედურებით დაზარალებულთა დახმარების ფონდში.

კონტაქტები, თანამშრომლობა

5 მაისს თბილისის რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის დასი ჰელსინკს გაემგზავრა. ქართველი მსახიობები მონაწილეობას მიიღებენ ტრადიციულ საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალში, რომელიც ფინეთის დედაქალაქში ეწყობა. ისინი უჩვენებენ ერთ-ერთ თავიანთ საუკეთესო ნამუშევარს — შექსპირის პიესას „მეფე ლირს". მაისის შუა რიცხვებში რუსთაველელები თბილისში დაბრუნდებიან და რამდენიმე დღის შემდეგ გაემგზავრებიან ისრაელს. თეატრი მიწვეულია იერუსალიმის ხელოვნების ინტერნაციონალურ ფესტივალზე, სადაც უჩვენებს შექსპირის სპექტაკლებს — „რიჩარდ მესამეს" და „მეფე ლირს". მას. წილად ხვდა ამ ხელოვნების წარმომადგენლობითი ფორუმის დახურვის პატივი, რომლის აფიშაზეა მსოფლიოს წამყვანი თეატრალური დასების საუკეთესო დადგმები.

საქართველოს დედაქალაქის სცენური კოლექტივი პირველი საბჭოთა თეატრია, რომელიც ისრაელში მიემგზავრება პირდაპირი ხელშეკრულებით საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირთან ახლახან შექმნილი შემოქმედებით-კომერციული ფირმის „მეგობრობის" მეოხებით. ფირმამ, რომლის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული თანამშრომლობის გაფართოება და განმტკიცება, საგარეო-ეკონომიკური ორგანიზაციის სტატუსი მიიღო და თავისი საგალუტო ანგარიში გახსნა რესპუბლიკის საგარეო-ეკონომიკურ ბანკში. ეს კი ნიშნავს, რომ ამიერიდან ჩვენი თეატრების, საზღვარგარეთ „სხვა შემოქმედებითი კოლექტივების გასტროლების შედეგად მიღებული შემოსავალი რესპუბლიკაში დარჩება და მის საჭიროებებს მოხმარდება.

— ძნელია ილაპარაკო ჩვენი კულტურული გაცვლის მთელ მრავალფეროვნებაზე, მთელ პოლიტრაზე, — თქვა საქონფორმის ერთ-ერთ ხელმძღვანელმა ალეკსანდრ ბანაშვილმა. — ეს ალბათ ჩვეულებრივ ამბავია. ბოლო ორ-სამ კვირაში ჩვენ ორ ასეთ ფორმას ვაფორმებ. ერთ-ერთ ასეთ ფორმაზე ხელს ვაწერ ამ ორშაბათ-ოთხშაბათ. ეს ფორმა ეხება ბულგარეთ-ბელგიის ერთობლივ ფირმასთან ერთად